საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი

14 მარტი 2014 წ.

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ ქ.ზუგდიდში, ბარამიას ქ N7-ში, (ს/კ N43.36.09.128; ფართობი 35 305.0 მ²) არსებული მიწის ნაკვეთის და ზუგდიდის რაიონ სოფელ ჭითაწყარში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ N43.14.42.061; ფართობი 1 989.0 მ²) განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-ამირან გოგიძე — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
-მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-გია ნაჭყებია — განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
-ირაკლი კოკაია — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

-ნოდარ ყოჩიშვილი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
-დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- თეიმურაზ მაღალდაძე — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ნინო მენთეშაშვილი — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

1. ქ.ზუგდიდში, ბარამიას ქ N7-ში, (ს/კ N43.36.09.128; ფართობი 35 305.0 მ²) არსებული მიწის ნაკვეთის და ზუგდიდის რაიონ სოფელ ჭითაწყარში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ N43.14.42.061; ფართობი 1 989.0 მ²) განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2014 წლის 7 თებერვალს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში **(N1099)** მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2014 წლის 25 თებერვალს, 14:00 საათზე; ელექტრონულ კონკურსში **(N1099)** მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ხუთმა კონკურსანტმა:

1. **შპს „Live Desing“;**
2. **შპს „ესსა“;**
3. **შპს „დიზაინკომპლექსი“;**
4. **შპს „Georgian House”**
5. **შპს „ეს ჯი არქიტექტურა“**

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში, გარდა ერთი საკონკურსო წინადადებისა შპს „ ეს ჯი არქიტექტურა“-ს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დროდ სამინისტროს კანცელარიაში დაფიქსირდა 25 თებერვალი **14:55;**

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციის მე-15 პუნქტის შესაბამისად, დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება შპს ,, ეს ჯი არქიტექტურა"-ს;
საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე დანარჩენი შვიდი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა საკონკურსო კომისიის წევრებს.

საკონკურსო კომისიამ განიხილა:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გ.ფაცაციამ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, საკონკურსო კომისიის წევრები და კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის წევრები და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

საკონკურსო კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შპს ,,Live Design"- 50 000 ლარი;
2. შპს ,,ესსა"- 102 200 ლარი ;
3. შპს. „Georgoian Hause"-110 000 ლარი ;
4. შპს. „დიზაინკომპლექსი"- 79 000 ლარი;

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, ვინაიდან საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ხდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის და საკონკურსო წინადადების ფასის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული კონცეფციის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, საკონკურსო წინადადების ეს ნაწილი შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
2. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება დაუბრუნდეს კონკურსანტს.
3. სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შესახებ.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

ამირან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

14 მარტი 2014 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 07 თებერვალს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N1099) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:
ქ.ზუგდიდში, ბარამიას ქ N7-ში, (ს/კ N43.36.09.128; ფართობი 35 305.0 მ²) არსებული მიწის ნაკვეთის და ზუგდიდის რაიონ სოფელ ჭითაწყარში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ N43.14.42.061; ფართობი 1 989.0 მ²) განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1099) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

ამირან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია